საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(286) 2023 წ. 16-30 აპრილი ფასი 1 ლარი

მნიშვნელოვანი ამბები

წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა გრძელდება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად წარმატებულ ახალგაზრდებს: საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტს, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტს **ზუკა მეკოკიშვილს,** გაეროს საერთაშორისო ახალგაზდული კონფერენციის სპიკერს - **გიორგი უნაფძოშვილს** და ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ადგილის მფლობელს და კახეთის 10 გზის ჩემპიონს - **ზუკა ბამრეკელაშვილს** შეხვდა.

შეხვედრის მიზანი საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, რჩევებისა და წინადადებების გაზიარება იყო, თუ როგორი კურსით უნდა გააგრძელოს ადგილობრივმა მმართველობამ მუშაობა, რათა ახალგაზრდებს საზოგადოებასთან ინტეგრირებასა და წარმატების მისაღწევად საჭირო

გაგრძელება და ახალგაზრდ ბის საქმიანობის გასაცნობად მასალები იხილეთ მე-5 გვერდზე

საგარეჯო ევროპის ფესტივალების სამიტზე

ესპანეთი კატალონია ბარსელონა

საქართველო პირველად იღებს მონაწილეობას ამ სამიტზე და თან - საგარეჯოს წარმომადგენლობით.

დასასრული მე-8 გვერდზე

აღდგომა მიულოცეს

ტრადიციულად, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს, დღის ცენტრის 18 წლამდე ასაკის მოზარდებს, სათემო სახლის ბენეფიციარებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარჩენალდაკარგულ მარტოხელა მშობლებსა და საერთო საცხოვრისის ბენეფიციარებს საადგომო ნობათები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა - **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად გადასცა.

„ვულოცავ საგარეჯოს მოსახლეობას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, მშვიდობა, ჯანმრთელობა, კეთილი საქმეების კეთების სურვილი და საზეიმო განწყობა ჰქონოდეს თითოეულ ოჯახს. ჩვენი მთავარი მიზანი მოქალაქეების კეთილდღეობაა, ამიტომ, ვცდილობთ, ოჯახებს მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები შევთავაზოთ. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას და ყოველწლიურად ვზრდით დაფინანსებას“, - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საადგომო ამანათი წელს, ჯამში 1200 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა.

რამადანი მიულოცეს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში, მუსლიმთა თემის პატივსაცემად, მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** საკრებულოს თავჯდომარესთან **ალექსი გილაშვილთან** და პარლამენტის წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელ **გიორგი თათრიშვილთან** ერთად, იფთრის ვახშამზე, ადგილობრივებს უმასპინძლა და რამადანის წმინდა თვე მიულოცა.

„მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს მობრძანებისთვის, გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს - რამადანის წმინდა თვეს! ეს ტრადიციული ვახშამი არის ჩვენი მეგობრობის კიდევ ერთი დასტური. როგორც ერთიანმა, დიდმა ოჯახმა ვიღვაწოთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მშვიდობის წინსვლისა და ერთიანობისთვის“.- აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.

Bu gün Saqareco bələdiyyəsinin Yormuqanlo kəndində müsəlman icmasının şərəfinə bələdiyyənin meri Avtandil Qulikaşvili şuranın sədri Aleksi Gilaşvili və Çoxluq Bürosunun rəhbəri Giorgi Tatrişvili ilə birlikdə qonaqları əyləndirib. iftar süfrəsində yerli əhalini müqəddəs Ramazan ayı münasibətilə təbrik edib.

“Gəldiyiniz üçün hər birinizə təşəkkür edirəm, sizi bu mühüm bayram - müqəddəs Ramazan ayı münasibətilə təbrik edirəm! Bu ənənəvi şam yeməyi dostluğumuzun daha bir sübutudur. Gəlin vahid, böyük ailə olaraq vətənimizin rifahı, sülh və birliyin tərəqqisi naminə çalışaq”, - deyə Avtandil Qulikaşvili bildirib.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2023

გზები

ქ. საგარეჯოში, არაყიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 179 088 ლარს შეადგენს.

"ამჟამად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რამდენიმე ათეული პროექტი აქტიურ ფაზაშია, ტენდერის ეტაპზე გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. როგორც ხედავთ, ეს გაზაფხული-ზაფხული იქნება საკმაოდ დატვირთული, რათა ის ძირეული საჭიროებები, რაც მოსახლეობას საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით აწუხებს, მაქსიმალურად მოვაგვაროთ" - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა - მოსწორების სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა.

მეორე ეტაპის სამუშაოები - კი უახლოეს პერიოდში გაგრძელდება და ყველა დაზიანებულ და რთულად მისადგომ მონაკვეთს მოიცავს.

მოსახლეობის ენთუზიაზმით მუნიციპალიტეტის ხემძღვანელობის მხარდაჭერით

პატარძეულს კიდევ ერთი, რიგით მე-3 სპორტული მოედანი შეემატა

უსტიაშვილების უბანი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი ადგილია პატარძეულში. ღმერთმა გვიმრავლოს, უბანს ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა გვიმშვენებს.

ამ ორიოდე წლის წინ, სწორედ მათგან წამოვიდა ინიციატივა, საფეხბურთო მოედანი გაკეთებულიყო იმ ტერიტორიაზე, სადაც არაერთი თაობის წარმომადგენლები ვიკრიბებოდით ბავშვობაში და ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ვეჯიბრებოდით. ტერიტორია შემოუღობავი და ნორმალური თამაშისთვის შეუფერებელი იყო...

იმის გათვალისწინებით, რომ პატარძეულელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჯანსაღი ცხოვრების წესს და მომავალი თაობის სწორად აღზრდას,

უფროსებმა ამ იდეის განხორციელება გადავწყვიტეთ. ამას საოცარი კონსოლიდაცია მოჰყვა: პროცესში, უბნელებთან ერთად, საგარეჯოს მერიაც და სოფელში მოქმედი ნავთობკომპანია KBOC-იც ჩაერთო. ვინ სამშენებლო მასალებით, ვინ ფინანსური შემოწირულობით ვინ ღამის განათების მოწყობით და ვინ კიდევ ფიზიკური შრომით დავუდექით გვერდით ამ მშვენიერი იდეის რეალიზებას. ასე რომ, ორიოდე წლის წინ დაწყებული საქმე, ბევრი ობიექტური მიზეზის გამო, სულ ცოტა ხნის წინ დავასრულეთ.

პირადად მე არასდროს დამავიწყდება, როგორ პაპანაქება სიცხეში ვსვამდით ბოძებს მავთულის ღობესთვის და უბნელები არცთუ იოლ სამუშაოს როგორი ხალისით ვაკეთებდით...

რაც მთავარია, მოედნის გაკეთება დასრულდა და ბავშვებს საშუალება აქვთ, ნორმალურ პირობებში ითამაშონ ფეხბურთი. ბოლო წლებში უკვე მესამე სპორტული მოედანი შეემატა ჩვენს ლამაზ და ერთ მუშტად შეკრულ სოფელს. ისედაც

სპორტის უზომოდ მოყვარული ბავშვები სიხარულს ვერ მალავენ: მოედნებზე ძალიან ხალისობენ, ფიზიკურად კაჟდებიან და ჯანსაღი ცხოვრების წესი მათი განუყრელი თანამგზავრი ხდება. ჩვენთვის - უფროსებისთვის არაფერია ამაზე დიდი ბედნიერება.

მართლაც, მადლობის მეტი რა გვეთქმის მერიის და ხსენებული კომპანიის მიმართ!

და კიდევ ერთი გარემოება, რაც პირადად მე დავაფიქსირე:

სპორტული მოედნების გაკეთებამ, გარდა იმისა, რომ მეტი ხალისი შემოიტანა სოფელში და ადგილობრივი მოსახლეობის ერთიანობა გააძლიერა, ერთგვარად ხელი შეუწყო კიდეც ახალი იდეების წარმოშობას, რომლებიც ეხება სოფელში არსებული სხვადასხვა პრობლემის დროულ მოწესრიგებას, გარემოს დაცვას, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების მოფრთხილებას, სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ზრუნვას და სხვადასხვა

სფეროში გადასადგმელ ნაბიჯებს.

ობიექტურ მიზეზთა გამო, ახლა თავს ვიკავებ იმ ახალი იდეების გამოქვეყნებისგან, რაც არაერთი თანასოფლელისგან მოვისმინე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, როდესაც მათ საუბარსა თუ ქმედებებში ვხედავ არა მხოლოდ მშობლიური სოფლისადმი უდიდეს სიყვარულს, არამედ მისი თანადგომისადმი მზადყოფნასაც. დარწმუნებული ვარ, ამ ერთიანობით ბევრს შევძლებთ ჩვენი სახელოვანი სოფლის და მომავალი თაობის სასიკეთოდ.

სანდრო უსტიაშვილი
სოფელი პატარძეული

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ალექსი გილაშვილმა**, დეპუტატის ბიუროს უფროს **გია თათრიშვილთან** და ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარესთან **ივანე ბეჟიაშვილთან** ერთად, სოფელ **მარიამჯვარსა** და **უდაბნოში** მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილზე მოინახულა.

მოქალაქეებზე ზრუნვაში გალეული 10 წელი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 10 წლისაა. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, 3 მილიონ მოქალაქეს, 11 მილიონი სამედიცინო შემთხვევა, 7 მილიარდი ლარით დაუფინანსდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2023

მინი სტადიონები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული სივრცეების მოწყობა გრძელდება

სოფელ უჯარმასა და ***მარიამჯვარში,*** ახალი, მრავალფუნქციური მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ფინანსდება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ახალი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები ***სოფელ გომბორშიც*** განხორციელდება.

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის ინიციატივით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპისათვის, ქ. საგარეჯოს, ე. წ **ზვარის მიმდებარედ** ახალი, მრავალფუნქციური მინი სტადიონი შეემატა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილეებთან ერთად სპორტული სივრცის მოწყობის დასრულებული სამუშაოები გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მოინახულა.

სოფელ პატარძეულში ე.წ "ყუშიტაანთ და უსტიაანთ" უბნების გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გილაშვილი,** საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი **გია თათრიშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველოს სხვა წარმომადგენლები სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.



ბიბლიოთეკაში

ბავშვები და – „არის ასეთი ქვეყანა“

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის (***დირექტორი ლია გოდერძიშვილი***) საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარების ორგანიზატორობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარებულა, რომელშიც აქტიურობას იჩენენ ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები. სულ ახლახანს ჩატარებულ ღონისძიებაში – „არის ასეთი ქვეყანა“ კი საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №2 (მენეჯერი **მზია ბეჟიტაშვილი**) უფროსი ასაკის ჯგუფის (პედაგოგი **ამალია ბერიძე**) აღსაზრდელებიც იღებდნენ მონაწილეობას.

XI საუკუნიდან ახალი საუკუნე იდგა... მეთერთმეტე ქრისტეს დაბადებიდან. საქართველო ახალ ცხოვრებაქს იწყებდა... ერთიანი ერით, ერთიანი დროშით, ერთიანი ხმლით, ერთიანი ჯვრით, ერთიანი კალმით, ერთიანი ყალმით. 1010 წელს ბაგრატ მესამემ კახეთ-ჰერეთი საქართველოს ერთიანი ეგიდის ქვეშ მოაქცია და გააერთიანა, განამტკიცა საქართველო. მას შემდეგ 10 საუკუნე გავიდა“,– ისტორიას შეახსენებს მოწვეულ სტუმრებს ნატალია ტიგინაშვილი.

– ცოტა თუ არსებობს მსოფლიოში ერი, რომელსაც ისეთი მრავალფეროვანი და მდიდარი წარსული აქვს, როგორიც ქართველთ... პირველი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე 2-3 ათასეული წლის წინ შეიქმნა. ქართველი ხალხი ადრე დაადგა ცივილიზაციის გზას... ბევრი რამე შექმნა, , რაც იმსახურებს ცივილური სამყაროს ყურადღებას, ბევრი რამეც დაკარგა საუკუნეების განმავლობაში – ომებში, მაგრამ რაც დარჩა, მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება,– ამბობს თიკა ფირყულაშვილი.

– თუკი ოდესმე რომელიმე ერს კაცობრიობის კულტურის საგანძურში რაიმე შეუტანია, არც ჩვენ ჩამოვრჩენილვართ სხვებს... გვყოლია დიდი ჰუმანისტი მეფეები, ფილოსოფოსები, პოეტები, მწერლები, გამორჩეული მხედართმთავრები, ხორბლისა და ყურძნის უამრავი ჯიშის გამომყვანი ჩვენი გლეხობა... რამდენი ვინ გვყოლია, რამდენი რა გვქონია, თუნდაც კაცობრიობის იმ 14 ანბანს შორის ერთ-ერთი ულამაზესი ქართული ანბანი,– სიამაყით შეგვახსენებს თემუკა ჭიაურელი.

– პატარა არ ეთქმის ერს, რომელმაც შვა რუსთაველის რანგის პოეტი. ქართველი ხალხი დიდი ერია, ხოლო რუსთაველი ყველა დროისა და ხალხის უდიდესი პოეტი, – გერმანელი მეცნიერის გუსტავ კირკის სიტყვებს შეახსენებს მაყურებელს ნატალია ტიგინაშვილი.

– ჩემი სამშობლო საქართველოა. ჩვენი წინაპრების მიერ დაღვრილი დიდი სისხლის ფასად გადაურჩა ქართველი ერი გადაშენებას.

– მე, როგორც ქართველი, ღვთისა და ერის წინაშე ვალდებული ვარ, ვიყო ღვთის მოშიში და ვიცხოვრო ქრისტეს მცნებები, მიყვარდეს საქართველო, ჩემი ერი და დედა ენა, ვიცოდე საქართველოს ისტორია, პატივი ვცე ჩვენს დიდ წინაპართა ხსოვნას, ვიზრუნო საქართველოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის, შევისწავლო და დავიცვა საქართველოს სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობა, შევინარჩუნო და განვამტკიცო ერის საუკეთესო ტრადიციები, დავიცვა საქართველოს ღირსება აქაც და მის ფარგლებს გარეთაც, ჩემი შესაძლებლობისამებრ ყველაფერი გავაკეთო, რათა ჩემმა ქვეყანამ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის, ჩემი ცხოვრება წარვმართო ღვთის სადიდებლად, მამულის სამსახურად და მოყვასის სანუგეშოდ“ – დამსწრე საზოგადოებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვები შეახსენა ბარბარა ჯინჭარაძემ.

– საქართველოს გაერთიანებიდან 10 საუკუნე გავიდა, ახლა 21-ე საუკუნეა... ჩვენ ვცხოვრობთ ინტერნეტის და გლობალიზაციის საუკუნეში, რომელიც უდიდეს სიკეთესთან ერთად, დიდი საშიშროების წინაშე გვაყენებს... მცირერიცხოვანი ერი ვართ და რაც უნდა კარგი ისტორია, კულტურა და ტრადიციები გვქონდეს, რითაც ასე ვამაყობთ, გადავშენდებით თუ რამე არ ვიღონეთ, გამოსავალი უნდა მოვძებნოთ,– ამბობს თემუკა ჭიაურელი.

– ბავშვი, რომელსაც ოჯახში, სკოლაში ასწავლიან სამშობლოს სიყვარულს, მის ერთგულებას და პატივისცემას, კარგი მამულიშვილი გაიზრდება, რა პროფესიისაც არ უნდა გახდეს. დიახ, გამოსავალი მომავალი თაობის ბავშვობიდანვე ქართულ ტრადიციებზე აღზრდაში გამოიხატება. აკვნიდანვე იავნანით გაზრდილი ბავშვი, რომელსაც ეცოდინება, რომ ქართველია – „კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას ურჩევნია აქ სიკვდილი“, ამბობს ღონისძიების ორგანიზატორი, ***საგარეჯოს ცენტრალური ბიბლ;იოთეკის საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარი*** **ვერიკო პერატიშვილი**,– ბავშვებო, თქვენ გიხარიათ თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება, თქვენ ხომ სწორედ ის თაობა ხართ, რომელიც თავისუფალ საქართველოში დაიბადა, მაგრამ არსებობს ბევრი მაგრამ... დაკარგული ტერიტორიები, ლტოლვილები, ომი ორ მართლმადიდებლურ ქვეყანას შორის და ბევრი კიდევ სხვა...

იკითხავთ, ჩვენ რა შეგვიძლია, ჯერ ხომ პატარები ვართო?! შეგიძლიათ, თქვენ ხართ ის მომავალი თაობა, ჩვენი სახელოვანი ტრადიციის გამგრძელებელი, რომლებმაც მომავალში საქართველოში უნდა იცხოვროთ ღმერთის ნებით, როგორც სრულუფლებიანმა, სრულწლოვანმა ადამიანებმა. საქართველოს კი მოფრთხილება და გაფრთხილება სჭირდება.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა საგარეჯოს სამუსიკო სკოლასთან არსებული სამუსიკო სტუდია „კამერტონი“ (***ხელმძღვანელი*** **თეა ხატიაშვილი**) და საგარეჯოს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „პატარა გარეჯელები“-ს (ხელმძღვანელი **ბექა ღვინაშვილი**) წევრები ძმები **ლექსო და ვახო შაქარაშვილები.**

ამ მშვენიერი საღამოსთვის თავისუფალი თემა „არის ასეთი ქვეყანა“ საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს. მათგან მოწონება დაიმსახურა რამდენიმემ, რომელსაც გთავაზობთ.

„არის ასეთი ქვეყანა“

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი - გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..“

გრიგოლ ორბელიანი

დღეისათვის დედამიწაზე 200-მდე სახელმწიფოა. მათ შორის არის ჩემი სამშობლოც, რომელსაც საქართველო ჰქვია. მართალია, ჩემი ქვეყანა ტერიტორიულად დიდი არ არის, როგორც რუსეთი, ამერიკა ან ჩინეთი და არც მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩევა, მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მაინც დიდი წვლილი აქვს შეტანილი და მჯერა, კვლავაც შეიტანს...

შემთხვევითი არ არის, რომ საყოველთაო აღიარებით საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ცნობილია, რომ საქართველოში იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ, ხოლო ქართველთა განმანათლებელი ნინო ითვლება მოციქულთა სწორად.

როგორც ისტორიკოსები ამბობენ: 4-5 ათასი წლის წინ დღევანდელი ევროპა ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ევროპაში პირველი სახელმწიფოს – კრეტის მეფე მინოსი იყო კოლხეთის მეფის აიეტის სიძე, – ცოლად ჰყავდა მისი და პასეფაი, ხოლო თვითონ კრეტას სახელად ერქვა ქართი.

ცნობილია, რომ ძველი ბერძნები სამყაროს ყოფდნენ ორ ნაწილად: ელინებად (ანუ ბერძნებად) და ბარბაროსებად (ანუ ველურ ხალხად). გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ეგვიპტელები და კოლხები (დღევანდელ ქართველთა წინაპრები.

იუნესკოს აღიარებით საქართველო არის ყურძნის, ანუ ღვინის და მარცვლეულის სამშობლო. განუმეორებელია ქართული მრავალხმიანი სიმღერა და ცეკვა, რომელიც ასევე იუნესკომ მსოფლიოს არამატერიალური კულტურის ძეგლებად აღიარა.

იმის მიუხედავად რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, ქართველები მაინც ანცვიფრებენ მსოფლიოს. მაგალითისათვის: მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ადამიანი ქართველი ლაშა ტალახაძეა. ქართველმა ერმა მსოფლიოს მისცა განუმეორებელი „ვეფხისტყაოსანი“. მსოფლიოში პირველი ქალი ხელმწიფე თამარ მეფე გახლდათ, რომლის დროსაც ჩვენმა ქვეყანამ როგორც სამხედრო, ისე კულტურული ძლიერების მწვერვალებს მიაღწია. XII-XIII საუკუნეებში საქართველოში დამკვიდრებული იყო ის ღირებულებები, რასაც იტალიურმა რენესანსმა რამდენიმე საუკუნის შემდეგ მიაღწია. თამარ მეფის დროს საქართველოში გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა, რაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც დღესაც მიუღწევლად რჩება.

X საუკუნის ნაწარმოებში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ნათქვამია: დღეს დაწუნებული ქართული ენა მოელის უფლის მეორედ მოსვლას, რადგან უფალი ამ ენით განიკითხავს სამყაროსო. მე მინდა მჯეროდეს, რომ ეს მართლაც ასე იქნება.

მარიამ აგულაშვილი,
საგარეჯოს II საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

რა არის სამშობლო?!

სამშობლო ის ადგილია, სადაც დავიბადეთ და ავიდგით ფეხი, შევისწავლეთ დედა ენა. ასაკის მატებასთან ერთად შევიყვარეთ თითოეული კუთხე, მისი მრავალფეროვანი ბუნება. სამშობლო ყველასთვის განსაკუთრებულია. ამის მკაფიო მაგალითია ლექსი რაფიელ ერისთავისა „სამშობლო ხევსურისა“. მარტო პოეტი კი არა, სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი არ გასცვლის არაფერზე იმ ადგილს, სადაც მისი წინაპრები მამულისათვის წირავდნენ თავს. „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“, ამბობს პოეტი და არა მარტო პოეტი. პასუხი კითხვაზე, რა არის სამშობლო, ძნელია. თვით ნოდარ დუმბაძეც კი დაიბნა მასწავლებლის მიერ დასმულ ამ კითხვაზე. მცირე მოთხრობაში „რა არის სამშობლო“, პასუხი ასეთია: „სამშობლოსათვის დაუფიქრებლად სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არა“.

ჩემთვის სამშობლოა ჩემი საქართველო, ქართველი ხალხით, ულამაზესი ბუნებით და ვიტყვი, ღმერთი, როგორც სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა.

ჩემი სამშობლო საქართველოა, ცად აზიდული მთებით, მოჩხრიალე ნაკადულებით, თმაქოჩორა ტყეებით და „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?“

მართლაც არც ერთი ქვეყანა არ შეედრება იმ მიწა-წყალს, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა სისხლის ფასად შემოგვინახეს სამი სიწმინდე: ენა, მამული, სარწმუნოება, რომელთაც დაცვა და მოფრთხილება სჭირდება.

თემუკა ჭიაურელი,
საგარეჯოს II საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

გაიხსენეს 9 აპრილის გმირები

1989 წლის 9 აპრილს, საქართველოში მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია და ლექსებითა და სიმღერებით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. ღონისძიების ორგანიზატორი ბიბლიოთეკარი **ნაირა გურგენიშვილი** იყო.

გარეჯული პორტრეტები

იცნობდეთ, მალე საზღვარგარეთ საქართველოსაც ასახელებენ

წარმატებული სტუდენტი

ზურა მეკოკიშვილი- დაიბადა 2000 წლის 15 დეკემბერს ქ.საგარეჯოში. 2007-2019 წელბში სწავლობდა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საჯარო სკოლაში, რომელიც 2019 წელს დაამთავრა და ამავე წელს გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი. 4 წლის განმავლობაში იყო სახელმწიფო სტიპენდიანტი. 2021 წელს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გადაეცა საქართველოს პირველი პრეზიდენტისზვიად გამსახურდიას სახელობის ჯილდო წარჩინებული სტუდენტობისთვის.

2022 წლის 12 ივლისს ფაკულტეტმა ზურა მეკოკიშვილს მიანიჭა „საუკეთესო სტუდენტის“ სტატუსი. იგი აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო საქმიანობაში. 2021 წელს არჩეული იყო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის საორგანიზაციო საბჭოს წევრად. (ბაკალავრიატის სტუდენტთა წარმომადგენელი) არის ფაკულტეტის მიერ დაარსებული დებატების კლუბის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პრეზიდენტი. მონაწილეობა მიღებული აქვს ორ სამეცნიერო კონფერენციაში:

1. „საერთაშორისო ურთიერთობები-თანამედროვე გამოწვევები ".
2. „დიპლომატები“. 2021 წლის 1 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით შერჩევითი კონკურსის საფუძველზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს ატლანტიკური ხელშეკრულების ახალგაზრდული ასოციაციის ორგანიზებით გამართულ „დიპლომატიის კვირეულში“, სადაც შეხვედრა იმართებოდა ქართველ და უცხოელ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან. აქტიური ჩართულობისთვის გადაეცა ორენოვანი სერტიფიკატი. გაიარა იურისტ-ფსიქოლოგთა მიერ ორგანიზებული ტრენინგი „კრიმინალური ქცევა და ფსიქოლოგია. ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობას იღებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ფორუმში: „მედია წიგნიერება და დეზინფორმაცია“.

ახალგაზრდა მოჭადრაკე ჩემპიონის - 16 წლის ზუკა გამრეკელაშვილის გზა წარმატებისკენ

"2012 წელს, 5 წლის ასაკში, პირველ კლასში ჭადრაკის პირველი გაკვეთილი ელენე ფარეშიშვილმა ჩამიტარა, სადაც გაჩნდა ჩემი ჭადრაკისადმი სიყვარული. დედას ვთხოვე ჭადრაკზე მივეყვანე და ჩემი პირველი მასწავლებელი სწორედ, ელენე იყო. 1 წლის შემდეგ, განვითარების ძიებაში, შევიცვალე და ჩემს ამჟამინდელ მასწავლებელთან, ირაკლი ქვლივიძესთან გადავედი. მე და ირაკლი მასწავლებელი შეძლებისდაგვარად, ყოველ დღე 5-6 საათი ვმეცადინეობდით. მე მადლიერი ვარ მისი, რადგან ყოველთვის ჩემზე უფროსი ასაკის მოჭადრაკეებთან მათამაშებდა, რათა ასაკობრივი შიში დამეძლია. მისი დამსახურებით ბევრ წარმატებას მივაღწიე. არაერთხელ გავხდი კახეთისა და საქართველოს აღმოსავლეთ ზონის ჩემპიონი. 2016 წელს მომეცა შესაძლებლობა მეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე ბათუმში, სადაც უდიდესი გამოცდილება მივიღე 9 წლის ბიჭმა, რაც დღემდე მადგება. 2018 წლის ივლისში ფოთის საერთაშორისო ტურნირზე პენ კატეგორიაში ვითამაშე, სადაც ასაკი არ იყო შეზღუდული. სწორედ აქ დავამარცხე ჩემზე უფროსი და გამოცდილი როგორც ქართველი ასევე უცხოელი მოჭადრაკეები და 9შესაძლებლობიდან 6.5 ქულით მესამე ადგილი დავიკავე. ამავე ტურნირში გავხდი საუკეთესო 12 წლიან ბიჭებს შორის. 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართა 43-ე მსოფლიო ოლიმპიადა, სადაც კახეთის გუნდმა იასპარეზა. 12 წლის ასაკში საუკეთესო მოთამაშედ მე დამასახელეს და მომეცა შესაძლებლობა ჩვენს გუნდს დავხმარებოდი. ამ ოლიმპიადაზე პირადად ვიხილე ჭადრაკის ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორებიც არიან: მაგნუს კარლსენი, ჰიკარუ ნაკუმარუ, ანიშ გირი, ფაბიანო კარუანა და სხვები. სამწუხაროდ, პანდემიამ ჭადრაკზე, როგორც სპორტის სხვა სახეობებზე, დიდი გავლენა მოახდინა. ბოლო ტურნირი სწორედ პანდემიის დაწყების წინ მოვიგე და საქართველოს აღმოსავლეთ ზონის ჩემპიონი გავხდი 14 წლამდე ჭაბუკებში. 2019 წლის მარტის შემდეგ, ტურნირი არ მითამაშია. ჭადრაკის მეცადინეობასაც ვეღარ განვაგრძობდი ჩემს მასწავლებელთან. ერთადერთი ონლაინ თამაში და მსოფლიო ჩემპიონების ახალი თუ ძველი პარტიების ყურება იყო. ჭადრაკისთვის „თავის დანებების" შემდეგ, პირველი ტურნირი, 4-5 თებერვალს, კახეთის ჩემპიონატი ვითამაშე გურჯაანში, სადაც 7/6.5 ქულით 16 წლამდე ბიჭებში ჩემპიონი გავხდი. ამის შემდეგ 1 თვე მქონდა ჭადრაკში დასაბრუნებლად და ფორმის აღსადგენად, რადგან 19-26 მარტს საქართველოს ჩემპიონატი მელოდა. ისევ გავაგრძელე ონლაინ მეცადინეობა და პრაქტიკისთვის თამაში. რამდენჯერმე შევძელი და ონლაინ ტურნირებშიც მოვიპოვე გამარჯვება. საქართველოს ჩემპიონატი 1800 რეიტინგულ კატეგორიაში ცუდად დავიწყე.სამწუხაროდ, 2 ტურის შემდეგ, ორივე წაგებით და ნული ქულით ბოლო ადგილზე ვიყავი, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია და ბრძოლა მაინც განვაგრძე. საბოლოოდ, 9 ტურის შემდეგ, 6 გამარჯვებით, შევძელი და საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გავხდი. მიუხედავად ამ წარმატებისა, ვთვლი რომ, ჯერ კიდევ არ დავბრუნებულვარ ჩემ ფორმას და უფრო მეტის მიღწევაც შემიძლია. მთავარი სურვილის სიძლიერე და თავდაუზოგავი მუშაობა, რადგან შეუძლებელი არაფერია. ჭადრაკი ჩემთვის მხოლოდ სპორტი არ არის, ის ცხოვრების ნაწილია და ზედმეტად ჰგავს ეს ორი ერთმანეთს. ჭადრაკში დახმარება არ შეიძლება, საკუთარი გადაწყვეტილებები განაპირობებს, თუ როგორ პოზიციაში იქნები გაშეშებული შენ, ამიტომ ყველაფერი წინასწარ უნდა დაგეგმო. სწორედ ასეა ცხოვრებაშიც, ჩვენი ქმედებები ჩვენივე ცხოვრებას განაგებს.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა გრძელდება

დასასრული

უნარ-ჩვევების შეძენაში დავეხმაროთ.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა, მუნიციპალიტეტის მერმა მიღწეული წარმატებისთვის სტუმრებს მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებსა და მხარდაჭერაზე ესაუბრა.

„მიხარია და ამაყი ვარ, რომ მუნიციპალიტეტს თქვენნაირი ახალგაზრდები ჰყავს, დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში და თქვენს ცოდნას, გამოცდილებას მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას მოახმართ.

მადლობა მინდა გადავუხადო პედაგოგებსა და მშობლებს, რადგან მათი წვლილი დიდია თქვენს წარმატებაში.

თქვენი ეს წარმატება თავისთავად განაპირობებს თქვენს უნარებს და შესაძლებლობებს. ამიტომ, მიზნისკენ სწრაფვის ტემპი არ უნდა შეანელოთ და უფრო მეტი მწვერვალები დაიპყროთ.

გადავწყვიტე, რომ წარმატებულ ახალგაზრდებს ყოველწლიურად გადავცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო, რათა ავუმაღლოთ მოტივაცია და განწყობა. უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული ახალგაზრდული საქმიანობის პოზიტიური გავლენა ინდივიდუალურ, სოციალურ და ეროვნულ დონეზე. ჩემი და ჩემი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობაა.

გილოცავთ, მიგულეთ ყოველთვის გულშემატკივრად – აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა შეხვედრისას.

სკოლის კედლებიდან დაწყებული წარმატებები

გიორგი უნაფქოშვილი:

– „მინდა გავხდე გამომძიებელი“

– გიორგი, მართალია, უამრავმა ხალხმა გაგიცნო, მაგრამ მოდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასაც დაწვრილებით გააცანი შენი თავი.

– მე ვარ გიორგი უნაფქოშვილი. ვსწავლობ პატარძეულის საჯარო სკოლაში,მე-11 კლასში. სკოლაში ჩემი საყვარელი საგანია-ისტორია. ისტორია ხომ ჩვენი წარსულია და ვფიქრობ ყველამ უნდა ვიცოდეთ საიდან და როგორ მოვედით დღემდე ამიტომაც ვსწავლობ დიდი ინტერესით. რაც შეეხება მომავალ პროფესიას მინდა გავხდე გამომძიებელი საერთაშორისო სტრუქტურებში.

– რას იტყვი შენს მშობლიურ სოფელზე,როგორი გინდა იყოს ის და როგორ უფრთხილდები მას?

– ვფიქრობ გამორჩეული სოფელი მაქვს თავისი წარსულით,აწმყოთი,ადამიანებით.მან უდიდესი პიროვნებები გამოზარდა. ის ხომ დიდი გოგლას სამშობლოა ასევე გავიხსენებ ჩვენი დროის თანამედროვე პოეტს რომან ზუკაკიშვილს. მინდა სოფელი უზრუნველყოფილი იყოს ინფრასტრუქტურით, რაც დაგვეხმარება ახალგაზრდებს ერთად შეკრებაში,იდეების გაზიარებაში,სხვა და სხვა სოციალურ პროექტებზე მუშაობაში, ნიჭიერი ახალგაზრდების თავის წარმოჩენაში და ასევე კარგი იქნება თუ სოფელში იქნება სხვა და სხვა კლუბები და ახალგაზრდები სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად ჩაერთვებიან მათ მუშაობაში.მე ჩემის მხრივ მას რაც გაგვაჩნია და არის სოფელში – მონაწილეობას ვიღებ ყოველწლიურ დასუფთავების აქციაში.

– გაეროს საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენციის სპიკერი, რას იტყვი?!

-სკოლის პარალელურად მე ვსწავლობ არაფორმალური განათლების ცენტრში-'საერთაშორისო უსაფრთხოების და პრაქტიკის ცენტრი'-რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან რომლებიც ახორციელებენ ამგვარ პროექტებს. მე,როგორც კურსანტმა გამოვთქვი სურვილი,გავიარე გასაუბრება და დავრეგისტრირდი აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.თებერვალში გავემგზავრეთ რომში – კონფერენცია იყო 3 დღიანი. აქტიური ჩართულობისა და გამოსვლების შედეგად კომიტეტის ხელმძღვანელმა შემარჩია გენერალურ სპიკერად, რაც საკმაოდ დიდი წარმატება აღმოჩნდა პირველი გასვლისთვის. რა თქმა უნდა, მოვიპოვე საერთაშორისო დონის სერტიფიკატი, როგორც მსოფლიოს მომავალ ლიდერთა კანდიდატმა. რა თქმა უნდა, ეს წარმატება ამხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის – დიდი წვლილი მიუძღვით ზემოთხსენებული ორგნიზაციის ხელმძღვანელებს,მენტორებს რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მათ. ასევე მშობლების დამსახურებაა, რომ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა და არა მხოლოდ.შორეული ბავშვობიდან ზრუნავენ ჩემს განვითარებაზე. უდიდესი რესურსი აქვთ ჩადებული ამ ყველაფერში. მადლობა მათ. ვფიქრობ ვამართლებ მათ იმედებს. ბუნებრივია მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჩემი მშობლიური სკოლის პედაგოგებს,დირექტორს, ასევე მადლობა მათ.

– როგორ აღიქვი ჩვენი მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრა.

– ჯერ კიდევ რომში ვიყავი, როდესაც გამომეხმაურა ქალბატონი ქეთი გრატიაშვილი და დაინტერესდა ჩემი საქმიანობით. ჩაინიშნა შეხვედრა და პირადად შევხვდი ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს, რომელმაც დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადა და მოგვცა მოტივაცია რომ გავაგრძელოთ მნიშვნელოვანი აქტივობები მომავალშიც. რა თქმა უნდა, მისასალმებელია და სასიამოვნოა მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვა, რისთისაც დიდ მადლობას ვუხდი პირადად მას და მის მოადგილეებს ბატონ ემზარ კუჭუაშვილს და გიორგი ლალიაშვილს და რა თქმა უნდა, ქალბატონ ქეთი გრატიაშვილს.

– მომავალში რას აპირებ რა გაქვს მიზნად დასახული?

– ვარ აბიტურიენტი,ვსწავლობ აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში-'იცა', მომავალ წელს ვაბარებ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ვირჩევ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტს, მანამდე კი, აპრილის თვეში ჩანიშნულია მორიგი კონფერენცია ბრიუსელში და ახლა ვემზადები ამ კონფერენციაზე წარსადგენად.

P.S. წერილი მზად იყო გაზეთში დასაბეჭდად, როცა გიორგი უნაფქოშვილი „Genter for internacional security and practike (CISP)“-ის ორგანიზებით ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, საერთაშოროსო კონფერენციაზე – „Future me want“ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე სამ სხვა ახალგაზრდასთან ერთად გაემგზავრა ევროკავშირის მოდელირების პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

ლექსებში ჩატეული სევდა

საბარეჯოელ მზია დარბაისელს კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი. მზიამ ნინოწმინდელ ქორეოგრაფ, შესანიშნავ მოცეკვავე ჯემალ მღებრიშვილთან 8-წლიანი თანაცხოვრებით საქართველოს სამი შვილი აჩუქა, ერთი გოგონა და ორი ვაჟი. ნაადრეად დაქვრივებულმა გოგომ შავი მანდილით გაზარდა შვილები და მათ მშობლებისგან გადაცემულ გენეტიკურ თვისებებთან ერთად ბევრი რამ ლამაზი უსაგზლა. ცალუღელად დარჩენილმა სამივეს შესანიშნავი განათლება მისცა. დააოჯახა და წლებიც გავიდა დარდსა და ცრემლში ,შვილების სიხარულსა და უკეთესი მომავლისკენ ცქერით ამ ხნის მანძილზე მზია ლექსებს წერდა, ფურცელს ანდობდა გულისწადილებს, ხოდა ეს ლექსები ერთად შეკონეს შვილებმა და პატარა კრებული დაბეჭდეს. გთავაზობთ მათგან რამდენიმეს.

მზია დარბაისელი

მარტი

მარტო, დიდებული თვე ხარ,
შენით იწყებ გაზაფხულსო.
ხან ნაზი ხარ, ხან აფთარი,
ებრძვი ზამთარს ჭირვეულსო.
შენს განზრახვას ვერვინ მიხვდეს,
გულში ნეტავ რას იდებსო.
ბრძენ კაცს უთქვამს
„წელს ნურც აქებ, ნურც აძაგებ,
სანამ მარტი წინ გიდევსო“.
ააყვავებს ხეებსა და
უცბად ყინვას დაადებსო.
დედისა და ქალის თვე ხარ
სიყვარულის იმავ დროსო,
ამიტომაც ორი დიდი
თაიგული შეგიკრესო.
შენ სიცოცხლის საწყისი ხარ.
სასწაულიც ბევრი გაქვსო,
მარტში გავხდი დედა, ბებო,
გმადლობ მარტო, ამისთვისო.
შენ სიავე არ შეგშვენის,
ნუ წამართმევ მე კარგ ძმასო,
ლაჟვარდ ცაზე ღრუბლის ნაცვლად
სჯობს სიკეთე მუდამ თესო.
იყავ თბილი, მზიანი და
სიხარული იყავ მარტო!

დედა

დედა სიცოცხლეა და სიყვარული,
ტკბილი ბავშვობა და სიხარული,
ცრემლად დამდნარი ყინულის ბროლი
ცისკრის ვარსკვლ;ავზე გაბრწინებული.
ლექსის ნიადვარი, თქმად მოვარდნილი,
მარტის თაიგული – იით შეკონილი.
კდემამოსილი, ზეციური, ამაღლებული,
შანთით დადაღული ქეთევან წამებული.
შვილის ხიდია – ცხოვრებასთან გადებული,
წარსული – აწმყოსთან ჯაჭვით გადაბმული.
დედა ისაა – ამ ქვეყანაზე
რაც ლამაზია და დიდებული

ქალი

ხან ალესილი ხმალია,
მომკვეთელია მტრის,
მოსართავ-მოსაკმაზავი,
დამამშვენია ქმრის.
ქალი ხომ სიყვარულია,
ყველას გულში რომ ზის,
ამომავალი სხივია
მანათობელი მზის.
წამკიდებელი ცეცხლისა,
დამანგრეველი კლდის,
ალმასი არის, მთის ბროლი,
ბეჭდის თვალად რომ ზის.
ის ფუძის ანგელოზია,
კერიასთან რომ ზის,
მანათებელი სხივია
ამომავალი მზის.
ზეშთაგონება კაცისა,
უებრო სიმამაცისა,
პეპელასავით დაფრინავს,
ხან მიწისაა, ხან ცისა.
მას ვერ დაიჭერ, ნუ ცდილობ,
ამაო არის ხსნა ცდისა,
ჭირვეულია ხანდახან,
მთვარე არისო მარტისა.
ცხრა უღელი ვერ დაიჭერს,
გასწყვეტს ჯაჭვსა რკინისასა,
ლურჯა ცხენსა მხედრიანად
აბალახებს, დასცემს ძირსა...
უთქვამს კაცსა გონიერსა:
– „თუ ქალმა გაიწიოსა“...
მისი დაბმა, მორჯულება,
ძალუძს ერთსა, მხოლოდ ღმერთსა!

კულინარიული სამყარო

ნამცხვარი ბაუნტი

ინგრედიენტები:

დარბილებული კარაქი - 200 გ
ქოქოსის ფანტელი - 250 გ
შაქარი - 200 გ
ვანილი
რძე - 500 გ
მანანის ბურღული - 6-7 ს.კ

კრემი:

სოდა - 1/4 ჩ.კ
სახამებელი - 20 გ
კაკაო - 20 გ
შაქარი - 5 ს.კ
ფქვილი - 80 გ
კვერცხი - 4
ნაღები 35 % - 200 მლ

მომზადების წესი

გავცრათ ფქვილი, კაკაო, სახამებელი და სოდა. კარგად ავურიოთ. ცილისგან მოვამზადოთ ბეზე, დავამატოთ 2 კოვზი შაქარი და კიდევ ავთქვიფოთ სანამ სიპრიალეს არ შეიძენს.

გულები 3 კოვზ შაქართან ერთად ავთქვიფოთ გათეთრამდე და შევურიოთ ბეზეს. შემდეგ ფრთხილად გადავურიოთ ფქვილიანი ნარევი.

ფორმებს წავუსვათ ცხიმი და გავანაწილოთ ცომი, 1.5 სუფრის კოვზის ოდენობით. გამოვაცხოთ 180 გრადუსზე.

შიგთავსი, უმჯობესია, მოვამზადოთ წინასწარ, რომ კარგად გაცივება მოასწროს. ავადუღოთ რძე, დავამატოთ მანანის ბურღული და ვანილი. მოვხარშოთ, თან კარგად ვთქვიფოთ, რომ კოშტები არ დარჩეს.

დარბილებული კარაქი ავთქვიფოთ შაქართან ერთად და შევათქვიფოთ გაგრილებული მანანის ფაფა. თქვეფისას დავამატოთ ქოქოსის ფანტელი და შევდოთ მაცივარში. გაცივებული მასა უნდა გავანაწილოთ ბისკვიტებზე. ავიღოთ ხელით პატარა გუნდა, დავაბრტყელოთ და ჩავდოთ 2 ბისკვიტს შუა. გარედან წავუსვათ ნაღების კრემი და მოვრთოთ კაკაოთი.

მართლმადიდებლობა

18 აპრილს 6 000 გარეჯელი მოწამის ხსენების დღეა!

6 000 გარეჯელი მოწამე— წმიდანი ექვსი ათასნი მოწამენი,დავით გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილნი (გ. 1616). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანნი. ხსენების დღე ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

დავით გარეჯის ლავრა დასაბამს VI საუკუნიდან იღებს და იმთავითვე ხდება საქართველოს სულიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე კერა. დავით გარეჯის ლავრას იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა სიმრავლის გამო ბერთა ქალაქს უწოდებდნენ. ლავრა მრავალგზის დარბეულა მტერთა მიერ, მრავალი გარეჯელი მამა აღსრულებულა მოწამეობრივად, მაგრამ განსაკუთრებულია 1616 წლის ადგომა ღამეს „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა“.

1615 წელს სპარსეთის შაჰ-აბასი დიდძალი ლაშქრით თავს დაესხა საქართველოს, ქვეყნის დაპყრობისა და აოხრების შემდეგ, იგი სანადიროდ გაემართა გარე კახეთის ველებში. გარეჯის მთებში მას შემოადამდა და იქვე დაბანაკდა მხლებლებთან ერთად. შუადამისას შაჰის ყურადღება მიიპყრო შორს, მთაზე მოძრავმა ცეცხლოვანმა მწკრივმა. უსჯულოს თავიდან მოჩვენება ეგონა, მაგრამ შემდეგ აუხსნეს: ამ ადგილებში ბერები ცხოვრობენ, რომლებიც ახლა ქრისტეს აღდგომას აღნიშნავენ და ანთებული სანთლებით გარს უვლიან ეკლესიასო. შაჰმა ბრძანა, მონასტერში მეომრები გაეგზავნათ და ამოეხოცათ ბერები.

ამავე ღამეს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარს არსენს და აუწყა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანეში მოგიწოდებთ ყველას. ამ ღამით თქვენ დიდი გამოცდა გელით - მახვილით მოისრებით. ვისაც სურს, დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიქცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმრთის ეს მოწოდება სავანეში შეკრებილ ყველა ბერს“.

წინამძღვარმა ყველას აუწყა ჩვენების შესახებ და მამებმაც იწყეს მოწამეობრივი ღვაწლისთვის მზადება. მხოლოდ ორ მორჩილს შეეშინდა სიკვდილის და მონასტრის მოშორებით ერთ-ერთ მთაზე დაიმალა.

წირვის ბოლოს „მამაო ჩვენოს“ გალობისას სპარსი მეომრები გარს შემოერტყნენ სავანეს. მონასტრის წინამძღვარი მაშინვე გავიდა რაზმის მეთაურთან და თხოვა წირვის დასრულებისა და ზიარების ნება დაერთოთ საძმოსთვის.

სპარსელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, მცირე დროის შემდეგ აღესრულებინათ შაჰის ბრძანება. მამებმა მიიღეს წმინდა ზიარება, ერთმანეთი გაამხნევეს და საზეიმოდ შემოსილები წარდგნენ უსჯულოთა წინაშე.

სპარსელებმა პირველად წინამღძვარს მოჰკვეთეს თავი, შემდეგ კი მხეცებივით დაერივნენ მამებს და უწყალოდ აჩეხეს ყველანი. ამ დროს სიკვდილის შიშით მონასტრიდან წასულმა ორმა მორჩილმა იხილა ზეციდან გარდამოსული ბრწყინვალე გვირგვინები, რომელთაგან ორი საწყალობლად ტივტივებდა ჰაერში. მორჩილები სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან. სპარსელებმა ისინიც ნაკუწებად აჩეხეს და მიწაზე მიმოფანტეს ფრინველებისა და გარეული მხეცების შესაჭმელად. შემდგომ ამ ადგილას ამოვიდა ვარდის ბუჩქი, რომელიც XIX საუკუნეშიც ხარობდა, უწყლო, მშრალ და ქვიან ნიადაგზე.

მოგვიანებით ქართველთა მეფემ არჩილმა დიდი გულმოდგინებით შეაგროვა მოწამეთა ძვლები და ქვის დიდ საწნახელში მოთავსა ტრაპეზის მარცხენა მხარეს. წმიდა ძვლებიდან კეთილსურნელოვანმა მირონმა იწყო დენა.

წმიდა დავითისა და წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერთა ძმობამ თხოვნით მიმართა კათოლიკოს ანტონ I, შეედგინა მათთვის ღვთისმსახურება და მათ პატივსაცემად დაედგინა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი.

კვირაცხოვლობა

კვირაცხოვლობა აღდგომის დღესასწაულის განახლებაა. ამ დღიდან მოყოლებული ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულია. ამიტომაც მორწმუნეები კვირაობით ეკლესიაში სადღესასწაულო წირვაზე იკრიბებიან.

კვირაცხოვლობას ასევე თომას კვირა ეწოდება. სახარებაში აღწერილია (იოანე 20, 19-20), თუ როგორ გამოეცხადა აღდგომის დღეს, სადამოს, მაცხოვარი თავის მოწაფეებს და უჩვენა თავისი ჭრილობები, როდესაც ეს შეტყო თომამ, რომელიც ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, გული დასწყდა და თქვა, სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ იესოს, არ დავიჯერებ მის აღდგომასო.

აღდგომიდან მერვე დღეს, ისევ კვირა სადამოს, მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს, ამჯერად თომას თანდასწრებით, უჩვენა ჭრილობები და უთხრა თომას, მოსულიყო და ხელით შეხებოდა. თომა მუხლებზე დაეცა, თაყვანი სცა მაცხოვარს და თქვა: “უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო”. იგი პირველი იყო მოწაფეთა შორის, რომელმაც სრულიად აღიარა იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება. “შენ იხილე და ირწმუნე, თომა, – უთხრა უფალმა – ნეტარ იქნებიან ისინი, ვისაც არ უხილავს და იწამა”.

კვირაცხოვლობას ტაძრებში დაჭრილი არტოსი – საგანგებოდ გამომცხვარი პური რიგდება, რომელიც აღდგომის დღიდან მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე ეკლესიებში კანკელის წინ პატარა მაგიდაზე დევს.

ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო დღეებში არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს.

მორწმუნეები მას განსაცდელისას, სულიერი და ხორციელი უძლურების დროს იღებენ.

ფუტკრის შესახებ

ალბერტ აინშტაინმა თქვა, რომ თუ ფუტკარი გაქრება დედამიწის ზურგიდან, ადამიანს ოთხი წელიც არ დასჭირდება გასაქრობად.

იცოდით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ მონეტაზე ფუტკრის სიმბოლო იყო გამოსახული?

იცოდით, რომ თაფლი შეიცავს ცოცხალ ფერმენტებს?

იცოდით, რომ ეს ფერმენტები ნადგურდება ლითონის კოვზთან კონტაქტით?

თაფლი უმჯობესია მიირთვათ ხის კოვზით, თუ ვერ იპოვნეთ, გამოიყენეთ პლასტმასის!

იცოდით, რომ თაფლი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც

ეხმარება ტვინს უკეთ მუშაობაში?

იცოდით, რომ თაფლი ერთ-ერთი იშვიათი საკვებია დედამიწაზე, რომელსაც შეუძლია ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება?

იცოდით, რომ აფრიკაში ფუტკრებმა ადამიანები შიმშილისგან იხსნა?

საკმარისია თუ არა ერთი კოვზი თაფლი ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად 24 საათის განმავლობაში?

იცოდით, რომ ფუტკრის მიერ წარმოებული პროპოლისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია?

იცოდით, რომ თაფლს ვარგისიანობის ვადა არ აქვს?

იცოდით, რომ მსოფლიოს დიდი იმპერატორის ცხედრები ოქროს კუბოში იყო დაკრძალული და შემდეგ თაფლით დაფარეს, რათა არ გაფუჭებულიყო?

იცოდით, რომ ტერმინი „თაფლის ღამე“ მომდინარეობს იქიდან, რომ ახალდაქორწინებულები ქორწილის შემდეგ თაფლს მიირთმევდნენ ნაყოფიერების მიზნით?

იცოდით, რომ ფუტკრის რძე რთული ბიოლოგიური პროდუქტია. ის შეიცავს ცოცხალი ორგანიზმის მშენებლობისათვის საჭირო ყველა ძირითად ნივთიერებას:

ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს, აგრეთვე ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ჰორმონებს და ფერმენტებს. მასში აღმოჩენილია 22 ამინომჟავა (არგინინი, გლიცინი, ცისტეინი, ჰისტიდინი, ლიზინი, ვალინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, თრეონინი, სერინი, მეთიონინი, გლუტამინის მჟავა, ტრიფტოფანი და სხვ.).

იცოდით, რომ ფუტკრის რძე წარმატებით გამოიყენება 54 დაავადების მკურნალობისას

იცოდით, რომ ეკოლოგების თქმით, 60-დან 90 პროცენტამდე საკვებს, მწერების საშუალებით, დამტვერვით (ენტომოფილია)და პირველ ყოვლისა,

ფუტკრების დახმარებით ვიღებთ. პროდუქტებს შორის, რომლებსაც მათი დახმარების გარეშე ვერ მივიღებთ: ხილი, ბოსტნეული, მარცვლული და კაკალი.

გმადლობთ, ფუტკრებო

სპორტი

თოკო თულაშვილის „ოქრო“ ტალინიდან

საგარეჯო, ძველი გარეჯის ქვეყანა ოდითგანვე ფალავნებისა და ვაჟკაცების კერა რომ არის, ამის მაგალითების ძებნა შორს არ მოგვიწევს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს კონტინენტი თუ ქვეყანა, სადაც ჩვენებურ ფალავნებს არ ეასპარეზოთ და იქიდან „ხელცარიელები“ – სიგელ-მედლების გარეშე დაგვბრუნებოდნენ. სულ ახლახანს, მარტის მიწურულს მათ მიერ მონაგარ ამ ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, კიდევ ერთი ოქრო შემატა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თავისუფალი სტილის ნიჭიერმა მოჭიდავემ **თორნიკე (თოკო) თულაშვილმა.**

27-28 მარტს თორნიკემ მონაწილეობა მიიღო ესტონეთის დედაქალაქში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ „ტალინის ღია პირველობაში“ ახალგაზრდებს შორის 79 კგ წონით კატეგორიაში და პირველობის ჩემპიონის ოქროს მედლით დაგვიბრუნდა საგარეჯოში. ამ შედეგის მისაღწევად თორნიკემ გამართული 5 ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა. პირველ შეხვედრაში დაამარცხა შვეიცარიელი, მომდევნოებში უნგრელი, ბერძენი, გერმანელი და ფინალში იტალიელი მეტოქეები და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

ახლა ტალინში თავნასახელები ჩვენი ახალგაზრდა ფალავანი ძალებს იკრებს და ემზადება საქართველოს ჩემპიონატისათვის, რაც უახლოეს მომავალში ჩატარდება და ვისურვებთ, რომ ამ ჩემპიონატზე მიღებული ოქროს მედლითაც გაეხარებინოს თავისი ახლობლები და ჭიდაობის გარეჯელი გულშემატკივრები.

ჭიდაობის დარბაზებში

გივი ონაშვილისა და გიორგი რევაზიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი საგარეჯოში

8-9 აპრილს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის ძიუდოს დარბაზმა მორიგ დიდ სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ძალისხმევით ჩატარდა ჩვენი გამორჩეული ფალავნების, ძიუდოისტების: ყოფილი სსრკ-ს სამგზის ჩემპიონისა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის **გივი ონაშვილისა** და ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო პრიზიორის **გიორგი რევაზიშვილის** სახელობის რესპუბლიკური ტურნირი 2007-2008 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტებს შორის. ასპარეზობაში მონაწილ;ეობდნენ: ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, ადიგენის, მარნეულის, გარდაბნის, რუსთავის, გორის, ბორჯომის, ოზურგეთის, მარტყოფის, სართიჭალის, თეთრი წყაროს, დუშეთის, თბილისის კლუბების და სპორტული საზოგადოებების ძიუდოისტები.

შეჯიბრების პირველ დღეს ტატამი ხუთი – 42,46,50,55 და 60 კგ წონითი კატეგორიების ძიუდოისტებს დაეთმოთ. 42-კგ წონითი კატეგორიაში პირველი ბრინჯაოს მედალი საგარელოელებს **მათე მათიაშვილმა** მოუტანა. ასევე, III პრიზიორები გახდნენ: ***ლუკა კანჯარაშვილი (55კგ), ნიკოლოზ კურდღელაშვილი (60კგ) და მერაბ ზირაქაშვილი (46კგ).***

ამ დღისა და ტურნირის ჩემპიონი გახდა ***ოთარ ოდიკაძე.***

ასპარეზობის მეორე დღეს საგარეჯოელთაგან თავი ისახელა და 81 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ***გიორგი ნაცვლიშვილი.***

რესპუბლიკური ტურნირის პრიზიორები და ჩემპიონები დაჯილდოვდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით, ასევე I ადგილზე გასული ძიუდოისტები – თასებით..

ტურნირს ესწრებოდნენ: კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ***გიორგი ალადაშვილი,*** პარლამენტის წევრი ***დავით სონღულაშვილი,*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ***ავთანდილ გულიკაშვილი*** და მისი მოადგილე ***გიორგი ლალიაშვილი.***

გივი დაგახიშვილი

კულტურა

ლეო ანთაძის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო

თბილი საღამო მსახიობთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საგარეჯოს კულტურის სახლში, საქართველოს სახალხო არტისტის- ლეო ანთაძის დაბადებიდან 90 წლის და სასცენო მოღვაწეობის 67 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სადამო გაიმართა.

ლეო ანთაძემ მაყურებელს რჩეული მონო სპექტაკლები, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის რეპერტუარიდან ეპიზოდები წარმოუდგინა, რომელიც დაუვიწყარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების მომტანი აღმოჩნდა იქ დამსწრე საზოგადოებისთვის.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდა ეროვნული ფილარმონიის გენერალური დირექტორი- ლადო ხელაშვილი.

„დედა ენის“ დღეს მიეძღვნა

14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ღონისძიება გაიმართა. საგარეჯოს 1, 2, 3 და ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თემატური ლექსები და მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს. კულტურის სახლთან არსებულმა ბავშვთა და მოზარდთა თეატრის პატარა მსახიობებმა და ბავშვთა ვოკალური ანსამბლის „მირელას“ წევრებმა არაერთი თეატრალური ნომერი და ცნობილი კომპოზიცია შეასრულეს. ღონისძიებაზე თემატურ ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი იყო ღონისძიების დეკორატორის მხატვარ - თამარ იორამაშვილის ნამუშევრებიც.

სპორტი

ვერცხლის მედალი ისრაელიდან

კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია, საგარეჯოელი **შალვა გულისაშვილი** რომელიც საქართველოს ორგზის ჩემპიონია ისრაელში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 58 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალის მფლობელი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში

22-23 აპრილს ქალაქ გორში საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის ჩატარდა, სადაც საგარეჯოელმა სპორტსმენებმა ღირსეულ წარმატებას მიაღწიეს.

თენგო ზირაქაშვილი 66კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მფლობელი

გახდა; **დავით კევლიშვილმა** - კი 60კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა;

გოგონებს შორის, 57 კგ. წონით კატეგორიაში **ნინი ლოლაძემ** ოქროს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილი 48 კგ. წონით კატეგორიაში **ლალი ხოსიტაშვილს** ერგო წილად.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

წიგნის საერთაშორისო დღის გამარჯვებულები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის (უფროსი **არჩილ ჯაბადარი**) სამუშაო გეგმის მიხედვით, 23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, "აჩუქე წიგნი"- პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საუკეთესო მკითხველ მოსწავლეებს საჩუქრად წიგნი და სიგელი გადაეცათ.

22 აპრილი დედამიწის დღეა!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც საჯარო მოხელეები და ადგილობრივი მოხალისეები იღებდნენ მონაწილეობას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** პირველ მოადგილესთან ერთად, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების თანამშრომლები ქალაქის სისუფთავესა და გარემოზე ზრუნვისთვის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

დედამიწის საერთაშორისო დღე- მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომლშიც ყოველ წელს მსოფლიოს 192 ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.

საგარეჯო ევროპის ფესტივალების სამიტზე

ესპანეთი კატალონია ბარსელონა

დასასრული

ისტორიული დღე ევროპის ხელოვნების ფესტივალის ქალაქებს საგარეჯო უკვე ოფიციალურად შეუერთდა! 200 ქალაქის წინაშე პირველად წარვსდექით, როგორც დელეგატი და სამიტის წევრი ქალაქი.

დროშაც ავაფრიალეთ...

ორი წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი ამხელა მიღწევა თუ გვექნებოდა საერთაშორისო მიმართულებით, თუმცა შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება, მხარდაჭერა, კარგი ადამიანები და მეგობრები...

24 აპრილი - დღე, რომელიც დარჩება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურიზმის, კულტურისა და ხელოვნების დარგის განვითარების უდიდეს ტრამპლინად!

ახალ-ახალი იდეებითა და გამოცდილებით გავაგრძელებთ სვლას...

ახლა უკვე საგარეჯოში ველოდებით სტუმრებს ევროპის დიდი ქალაქებიდან, როგორც მასპინძელი მუნიციპალიტეტი...

ქეთი გრატიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com